ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲚᲔᲚᲝ

№ 24 (4018)

1970 წ. 4 თებერვალი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20 45

◆ ბუქარესტი, 3 თებერვალი. საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩოკილტია გახდა რუმინეთის .... 1969 წლის ჩემპიონი ჭადრაკში. ეს დაგვიანებული ცნობა არ გეგონოთ. საქმე ის არის, რომ შარშანდელ ჩემპიონატში ჩოკილტიამ და ი. საბომ I-II ადგილები გაიყვეს. და აი, დავა დამთავრდა: ანგარიშით 2,5:1,5 გაიმარჯვა ჩოკილტიამ, რომელიც უკვე იყო რუმინეთის ჩემპიონი 1951, 1959 და 1961 წლებში

◆ ბუდაპეშტი, 3 თებერვალი. უნგრეთის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს მ. ივანკამ და ე. კარაკაშნემ — 10-10 ქულა 12-დან. ჩემპიონს მათი დამატებითი მატჩი (4 პარტია) გამოავლენს.

◆ ვარშავა, 3 თებერვალი. სოციალისტური ქვეყნების იუნიორ მოჭადრაკეთა ტურნირმა, რომელიც ამჯერად პოლონეთის დედაქალაქის გათავისუფლების 25 წლისთავს მიეძღვნა, გამარჯვება ვარშაველ კ. კაიშაურის მოუტანა — 8 ქულა 10-დან. საბჭოთა მოჭადრაკეები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.



ერთი წუთის შემდეგ — სარბიელზე. (მსოფლიო ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში გ. შუგუროვა).

ფოტო ბ. ჩიგიშევისა (ომსკი). („კომსომოლსკაია პრავდა“).

## 20 45

◆ კაჰანა, 3 თებერვალი. კუბის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს — 1:0. ბურთი გაიტანა მასპინძელთა თავდამსხმელმა ო. პერესმა.

◆ ბრატისლავა, 3 თებერვალი. 15 ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთის ოსტატებმა ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში. ამ ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა საბჭოთა ქალების წყვილმა — მოსკოველმა ს. გრინბერგმა და ბაქოელმა რ. პოლოსოვამ. მათ 5 გამარჯვება იზეიმეს, ფინალში დაამარცხეს გფრ-ის დუეტი — დ. შელერი და ა. შიმონი — 21:16, 20:22, 21:18, 11:22, 21:13. ფინალამდე მივიდა სსრ კავშირის ვაჟთა წყვილიც — ბათუმელი ს. სარხოიანი და რიგელი უ. ეგლიტისი. ნახევარფინალში მათ თვით მსოფლიო ჩემპიონებს — შვედებს ჩ. იუჰანსონსა და ჰ. ალსერს სძლიეს (21:16, 14:21, 21:18, 21:16), მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ასეთივე ანგარიშით (1:3) წააგეს მასპინძელთა დუეტთან — ვ. მიკოსა და ი. ტურაისთან. საბოლოოდ — ვერცხლის მედლები. სარხოიანმა კიდევ ერთი მედალი მიიღო — ბრინჯაოსი (პოლოსოვასთან შერეულ წყვილში). აქ გაიმარჯვეს მეუღლეებმა დ. და ე. შელერებმა (გფრ). ბაქოელმა კიდევ ერთი ბრინჯაო მოიხვეჭა ქალთა ერთეულების თანრიგში. აქ საუკეთესო იყო ევროპის ჩემპიონი ი. ვოშტოვა (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც ფინალში აჯობა დ. შელერს — 3:1. მაგრამ შელერების ოჯახს კიდევ ოქროს ერთი მედალი შეემატა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ე. შელერი უძლიერესი იყო ვაჟთა ტურნირში (ფინალში მოუგო იუჰანსონს — 3:2).

◆ მელეცი, 3 თებერვალი. ხელბურთელ ვაჟთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ოთხმა მონაწილემ პოლონეთის ამ ქალაქში ტურნირი გამართა. გაიმარჯვა მასპინძელთა ნაკრებმა, რომელმაც III ადგილზე დატოვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — რუმინელები და IV — ამ წოდების ახლანდელი მფლობელები — ჩეხოსლოვაკიელები. II ადგილზეა ნორვეგიის ნაკრები.

## ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ — ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲘ

ჰავანა, 2 თებერვალი. კუბის მძლეოსანთა შეჯიბრებაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია მიგელინა კობიანმა — 200 მ მან 23,7 წამში გაირბინა. მისმა თანამემამულემ გერმან სოლისმა ეს მანძილი 21,2 წამში დაფარა.

ბოსტონი, 2 თებერვალი. 800 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა იოზეფ პლახიმ (ჩეხოსლოვაკია) მასპინძლები ჩამოიტოვა 1000-იარდიან დისტანციაზე. პლახიმ დარბაზში ეს მანძილი 2 წუთსა და 7,4 წამში გაირბინა.

მაინცი, 2 თებერვალი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსნებმა ამ ქალაქის დარბაზში იასპარეზეს. შესანიშნავ შედეგს მიაღწია გიუნტერ მიკელმა. 60 მეტრზე თარჯრბენში მან 7,5 წამი აჩვენა, რაც 0,2 წამით სჯობს ევროპის ჩემპიონის, იტალიელი ე. ოტოზის 2 წლის წინანდელ უმაღლეს მსოფლიო მიღწევას.

მადრიდი, 2 თებერვალი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 212 სმ სიმაღლე გადალახეს ესპანელმა ლუის გარიგამ და ფრანგმა ანრი ელიოტმა. გაიმარჯვა გარიგამ, რომელმაც სიმაღლის დაძლევას ერთი ცდით ნაკლები ნოანდომა.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## ᲓᲔᲕᲘᲖᲘ — ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ

მედიცინის მუშაკებმა გამოიკვლიეს, რომ ალმა-ათის ტრიკოტაჟის ფირმის მუშებში ავადმყოფობამ გასული წლის მანძილზე 10 პროცენტით იკლო. საქმე ისაა, რომ ფირმის საწარმოებში რეგულარულად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. ახლა ყოველი 10-დან 7 მუშა ფიზკულტურულ პაუზებში მონაწილეობს. სულ ყაზახეთში საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია ნახევარ მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

საწარმოო ტანვარჯიში განსაკუთრებით პოპულარულია მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. ყოველივე ეს ითქვა ყაზახეთის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმზე, რომელიც განიხილავდა „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას.

რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში ბოლო სამ წელიწადში მომზადდა 580 სპორტის ოსტატი, 13 ათასამდე ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, მასობრივი თანრიგების 660 ათასზე მეტი სპორტსმენი. ამ პერიოდშივე შეიქმნა თითქმის 100 ახალი ტურისტული ბაზა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ამასთან, პლენუმმა აღნიშნა, რომ მასობრივი სპორტის განვითარების დონე ჯერჯერობით საკმარისი არ არის. მან დასახა კონკრეტული ღონისძიებები ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვისთვის. (საკდესი).

კომკავშირელი ს. ტრუმბერგი ტალინის სათხილამურო ფაბრიკა „დინამოში“ მუშაობს ნიშანმდებლად. ახლახან მან თავი გამოიჩინა სსრ კავშირის ნაკრები გუნდისთვის სარბოლო თხილამურების დამზადებაში. სხვათა შორის, ახლა ფაბრიკამ, რომელიც საერთოდ სსრ კავშირის სათხილამურო სპორტის ფედერაციის დაკვეთებს ასრულებს, დაიწყო თხილამურების ახალი მოდელის გამოშვება.

სურათზე: ს. ტრუმბერგი.

ფოტო ვ. გორბუნოვისა (საკდესი).



## ᲫᲘᲣᲓᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲑᲝ

6 და 7 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ძიუდოისტთა პირველი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან გდრ-ის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ათლეტები. ტურნირის შემადგენლობა ძლიერი იქნება. საკმარისია ითქვას, რომ ამსტერდამიდან ჩამოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 26 წლის ვ. რიუსკა. ეს ორმეტრიანი ქერა გიგანტი მსოფლიოში მეორე ათლეტია, რომელმაც შეძლო იაპონელთა ჰეგემონიის შერყევა. პირველი იყო მისი თანამემამულე, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ა. გეეზინკი.

შარშან ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ბელგიის ქალაქ ოსტენდეში გაიმართა, რიუსკამ ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა: ერთი მძიმე წონაში, როცა ფინალში თბილისელი გ. ონაშვილი დაამარცხა, და მეორე — აბსოლუტურ პირველობაში, როცა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო ა. ქიბროწაშვილს. თბილისში ჩამოვა მეორე ჰოლანდიელი ძიუდოისტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლების მფლობელი მ. პოგლაენი.

მაშ ასე, საბჭოთა სამბისტები კვლავ ჩაიცვამენ კიმონოს. ძიუდო დაახლოებით 100 წლის წინათ აღმოცენდა იაპონიაში. დღეს იგი პოპულარულია ამერიკის, აზიისა და დასავლეთ ევროპის 78 ქვეყანაში.

სამბო არც თუ დიდი ხნის წინ გავრცელდა სსრ კავშირში, 1966 წელს კი იგი საერთაშორისო სახეობად აღიარეს. ბოლო წლებში სამბომ ფართო გავრცელება ჰპოვა ბულგარეთში, მონღოლეთში, ინგლისში, პოლონეთში და თვით იაპონიაშიც.

სსრ კავშირში ძიუდოთი დაინტერესდნენ ამ 8 წლის წინ, როცა ეს სახეობა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდა. პირველად სექციები შეიქმნა მოსკოვში, კიევსა და თბილისში. ამ ქალაქების სამბისტებმა დაიწყეს ძიუდოს ელემენტების შესწავლაც. ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა მოჭიდავეებმა ბრინჯაოს 4 მედალი დაისაკუთრეს. აქედან 2 მედალი ხვდა ა. კიკნაძეს და ორი — აწ განსვენებულ ფ. ჩიკვილაძეს.

1962 წლიდან საბჭოთა ათლეტები ევროპის ჩემპიონატების უცვლელი მონაწილენი არიან, 1965 წლიდან კი — მსოფლიო ჩემპიონატებისაც.

ძიუდოსადმი ინტერესი საბჭოთა ახალგაზრდებს შორის კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ეს სახეობა 1972 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს. ახლა ძიუდოს ტექნიკას სწავლობენ ტალინში, ოდესაში, გომელში, ლვოვში, დნეპროპეტროვსკში, ვიტებსკსა და სხვა ქალაქებში.

1970 წელს საბჭოთა სპორტსმენებს ბევრი საინტერესო შეჯიბრება ელით ძიუდოში. თბილისის ტურნირის შემდეგ საფრანგეთში (მარტი) გაიმართება ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი, 21—24 მაისს კი გდრ-ის დედაქალაქ ბერლინში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი მოზრდილებისთვის. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია საბჭოთა ათლეტების გამგზავრება სამატჩო შეხვედრების გასამართავად ავსტრიაში, პოლონეთში, იაპონიასა და იუგოსლავიაში.

ბევრი შეჯიბრებაა დაგეგმილი სამბოშიც. სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება კრასნოდარში (5-8 მარტი), პირადი — ლუცკში (8-22 ნოემბერი) და დუშანბეში (25-29 ნოემბერი). გარდა ამისა, დაგეგმილია სოჭში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება.

ა. ხაჩუოვანიანი.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

# ბაკურიანიდან გამოჩნდა მაღალი ტატრები

ბაკურიანი, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თხილამურებით რბენაში სსრ კავშირის თასის გათამაშების მონაწილეებმა გენერალური ბრძოლის წინ ორი დღით დაისვენეს, რომ ქალებს 10, ხოლო ვაჟებს 50 კილომეტრზე ასპარეზობისთვის ძალა მოეკრიფათ. ხუმრობა ხომ არ იყო: ქალებს 9 აღმართი (საერთო სიგრძე — 3800 მ) უნდა აევლოთ, რაც სიმაღლეთა სხვაობის საერთო ჯამში 310 მეტრს შეადგენდა.

როცა მონაწილენი და მათი მწვრთნელები სტარტის წინ ტრასის სქემას ეცნობოდნენ, დისტანციის სირთულით გაოცებული რჩებოდნენ. განსაკუთრებით არ მოწონდათ ბოლო აღმართი ზედ ფინიშთან. როგორც წესი, მონაწილენი სწორედ აქ მუდამ ცდილობენ უკანასკნელამდე კუდის მოქნევას...

ნაკრების ხელმძღვანელობა სხვას ფიქრობდა: ვისაც მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის საგზური სურს, სიძნელისაც არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის ტატრებში სწორედ ასეთი ტრასა უკვე მზადააო.

გუშინ შედარებით დათბა. თერმომეტრი მინუს 1-2 გრადუსს აჩვენებდა. დროდადრო ისევ თოვდა. ღრუბლიანი ამინდი სრიალს ხელს უწყობდა. სტარტიდან 65 სპორტსმენი გავიდა. 5 კმ-ზე რბენაში საუკეთესოებს ამჯერადაც მდევრების როლი უნდა შეესრულებინათ, მხოლოდ კულაკოვას არ გაუღიმა ბედმა კენჭისყრისას: იგი რბენას ყველა ფავორიტზე ადრე იწყებდა, მაშასადამე, ვერავინ შეატყობინებდა, როგორ გაიარეს მეტოქეებმა ესა თუ ის მონაკვეთი. სამაგიეროდ, სპორტის ოსტატებს ი. მიაგარის („კალევი“), ნ. ფიოდოროვას („ტრუდი“), ლ. დორონინას (შეიარაღებული ძალები), ი. ვლადიმიროვას („ავანგარდი“), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს ა. კოლჩინას („დინამო“), ა. ოლიუნინასა („ტრუდი“) და სხვა საუკეთესოებს საშუალება ჰქონდათ რბოლის გრაფიკი კულაკოვას მაჩვენებლების გათვალისწინებით აეგოთ.

როცა ყველა სპორტსმენმა 2,5 კმ გაიარა, მსაჯმა-ინფორმატორმა გვაცნობა:

— რბოლას ლიდერობს კულაკოვა, მეორე ადგილზე მიდის ოლიუნინა, რომელიც კულაკოვასთან 6 წამს აგებს.

ვიდრე ქალები თავიანთი საქმით იყვნენ გართული, 50 კმ-ზე მორბენალი ვაჟები სტარტიდან ერთი მეორის მიყოლებით იწყებდნენ 10-კილომეტრიან წრეზე რბოლას. მათ ეს დისტანცია ხუთჯერ უნდა გაევლოთ (40 აღმართი, სიმაღლეთა სხვაობა — 2102 მ) და მაყურებლებს შეეძლოთ უფრო კარგად ედევნებინათ თვალი ლიდერთა ბრძოლისთვის.

მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებისთვის მებრძოლთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო: თუ 15 კმ-ზე 102 მოთხილამურე ასპარეზობდა, ახლა მათი რიცხვი 16 მონაწილით შემცირდა. ამათში ჭარბობდნენ იუნიორები, რომელთაც ამ მარათონულ დისტანციაზე ბრძოლის უფლება ჯერ კიდევ არა აქვთ. მათ შორის იყო სპორტის ოსტატი ი. სკობოვიც (შეიარაღებული ძალები), რომელმაც 15 კმ-ზე სენსაცია მოახდინა — II ადგილი დაიკავა.

სხვა ტურნირებისგან განსხვავებით, 50 კმ-ზე რბენაში ფავორიტებს, მათ შორის, ნაკრების კანდიდატებსაც, მსაჯებმა შეღავათი მისცეს — კენჭისყრით პირველ 25 სპორტსმენში გაანაწილეს, არ მოთოვოს და ბილიკები არ გაფუჭდესო.

შეჯიბრების გახსნა წილად ხვდა მოსკოველ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. ვედენინს („დინამო“), რომელმაც ორი დღის წინ, 15 კმ-ზე ასპარეზობაში იმარჯვა. ნაკრების მეორე კანდიდატს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ა. აკენტიევს (შეიარაღებული ძალები) მეორე ნომერი ხვდა.

როცა მწვრთნელმა კენჭისყრის შედეგები შეატყობინა, ვედენინს აშკარად არ ესიამოვნა:

— ტერებოვსა და ვორონკოვს ბედი სწყალობთ — შორს არიან. ახლა ისინი ჩემი ყველაზე საშიში მეტოქეები იქნებიან, — თქვა მან.

ვედენინის წინასწარმეტყველება ნაწილობრივ გამართლდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ, ვინაიდან მსაჯი-ინფორმატორი ახალი ცნობების გადმოცემას იწყებს.

— ქალები ფინიშს უახლოვდებიან. 7-კილომეტრიან მონაკვეთზე კულაკოვამ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ახლა იგი ოლიუნინას 27 წამს უგებს. ოლიუნინას მიაგარიმ გაასწრო, მაგრამ ლიდერს 25 წამით ჩამორჩება.

გულშემატკივრები უკვე ზეიმობდნენ კულაკოვას მორიგ გამარჯვებას, გალინა კი ტემპს თანდათან უმატებდა. მან ბოლო აღმართიც სწრაფად აირბინა და წამმზომებმა 36.32,0 აღნიშნეს. II ადგილზეა მიაგარი — 37.04,0, III — ოლიუნინა — 37.09,0. ფავორიტებიდან საუკეთესოთა ათეულში შევიდა კოლჩინაც, რომელიც VII ადგილს დასჯერდა — 37.38,0.

ნაკრების კანდიდატებს ექვსეულში ადგილები წაართვეს სპორტის ოსტატებმა ლ. მუხაჩოვამ („ტრუდი“) — 37.13,0, დ. გრიგორიევამ („ლოკომოტივი“) — 37.24,0, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. შებალინამ („სპარტაკი“) — 37.37,0.

... ვაჟები მესამე წრეზე წავიდნენ. შეჯიბრების კომენტარი ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილეს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ვ. ფანჯაკიძეს ვთხოვეთ.

— დააკვირდით 67-ე ნომერს. იგი არმიელი სპორტის ოსტატი ვ. პოპოვია, რომელმაც 15 კმ-ზე ასპარეზობაში III ადგილი დაისაკუთრა. 20 კმ მან საათსა და 18 წუთში გაირბინა. სწრაფი სპორტსმენია, მაგრამ არა მგონია, მაგ ტემპს ბოლომდე გაუძლოს. ეტყობა, გამოცდილება არ ჰყოფნის.



ფ. სიმაშოვი.

— უახლოეს მეტოქეს რა დროით უსწრებს?

— მხოლოდ 20 წამით. ეს მარათონში ბევრს არაფერს ნიშნავს. ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ტერებოვი, რომელიც ლიდერს 40 წამით ჩამორჩება.

— როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?

— მარათონულ დისტანციაზე გამარჯვებულის გამოცნობა ძნელია. წინ 30 კილომეტრია და ბევრი რამაა მოსალოდნელი. მომწონს ვორონკოვისა და ტერებოვის შეთანხმება: შეხედეთ, უკვე მეორე წრეა ერთმანეთს ლიდერობენ...

უკან დარჩა 30 კმ. ამ მონაკვეთზე შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავდა — პოპოვსა და ვორონკოვს ერთნაირი შედეგი (1:44.15) ჰქონდათ. ტერებოვი ვორონკოვს ახლაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

— ერთი წრე დარჩა, ლიდერი შეიცვალა, სიმაშოვმა 40 კმ-ის გავლას 2:21.30 მოანდომა, მეოთხე წრეზე პოპოვს მან სამწუთნახევარი მოუგო, ვორონკოვს — 57 წამი. ეტყობა, სისწრაფეს ვედენინმაც უმატა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმაშოვი ვედენინს უკვე წუთნახევრით უსწრებს, სიმაშოვის გამარჯვება უფრო მოსალოდნელია. ფინიშს დაველოდოთ!

ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. სტარტიდან მეექვსედ გასული მოსკოველი სიმაშოვი ფინიშთან პირველი მიიჭრა — 2:57.59. შემდეგ რბოლა დაამთავრა მისმა თანაქალაქელმა ვედენინმაც — 3:00.59, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ III ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. II ადგილი დარჩა კიროველ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ა. კოლიგოვს (ყველა — „დინამო“) — 3:00.05.

ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, ტერებოვი („სპარტაკი“) — 3:01.10, ვორონკოვი (შეიარაღებული ძალები) — 3:01.25, ი. ვორონჩიხინი („ბურევესტნიკი“) — 3:02.24. 14 სპორტსმენი შეჯიბრებას გამოეთიშა.

გუნდურ ჩათვლაში თასები მოიპოვეს: სპორტსაზოგადოებებს შორის — „ტრუდმა“ — 421 ქულა (II ადგილზეა შეიარაღებული ძალების კოლექტივი — 358, III — „დინამო“ — 350), ქალაქების, რესპუბლიკების, ოლქების გუნდებს შორის — მოსკოვის ნაკრებმა — 580 ქულა (II — ლენინგრადი — 171, III — კიროვის ოლქი — 140).

მსაჯთა კოლეგიის საბოლოო სხდომაზე მორბენალთა მთავარ მწვრთნელს ბ. კამენსკის ვთხოვეთ ჩამოეთვალა, ვინ მოიპოვა მსოფლიო პირველობაში ასპარეზობის უფლება:

— ქალებიდან ესენი არიან: კულაკოვა, შებალინა ოლიუნინა, პილიუშენკო, ფიოდოროვა, მიაგარი; ვაჟებიდან — ვედენინი, ვორონკოვი, სიმაშოვი, ტარაკანოვი, სკობოვი, პოპოვი, ტერებოვი, დოლგანოვი. როგორც ხედავთ, ნაკრებში ადგილები დაკარგეს კოლჩინამ, დორონინამ, ვლადიმიროვამ, უტრობინმა, აკენტიევმა და გიზატულინმა. მათ მაგიერ გუნდში ახალგაზრდები შევიდნენ.

ო. გელაშვილი.



გ. კულაკოვა (№ 152).

# გზა დაგელოცოს!

— უნდა გახაროთ: კობა სსრ კავშირის ნაკრებში მიიწვიეს და მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა! — მითხრა საქართველოს მოთხილამურეთა მთავარმა მწვრთნელმა ფ. ნავერიანმა.

ვეტერანი სპორტსმენისთვის, რომელზეც თავის დროზე ბევრს წერდნენ, ეს მოულოდნელი არ ყოფილა, ვინაიდან წლეულს მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ არ აპირებს ფარხმლის დაყრას.

კ. წაქაძეს ბაკურიანში შევხვდი და მსოფლიო ჩემპიონატში წარმატება ვუსურვე, თან ინტერვიუ ვთხოვე.

— ინტერვიუ არ გინდათ. წასვლა ჯერჯერობით ვერ გადამიწყვეტია — სეზონში ნახტომები მაკლია და სარბიელიდან შერცხვენილი წასვლა არა მსურს.

— რა უპასუხეთ ფედერაციას?

— საბოლოო პასუხამდე საკმარისი დროა. მოსკოვს 5 თებერვალს უნდა გავემგზავრო, ამიტომაც ინტენსიურად ვვარჯიშობ — 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ყოველდღიურად რამდენიმეჯერ ვხტები...

— საქართველოში ხომ უამრავი გულშემატკივარი გყავთ! რა ვუთხრათ მათ?

— ორ თებერვალს მორბენალ მოთხილამურეთა ფინიშთან გინახულებთ.

კობას პასუხს ოთხ დღეს ველოდი. უამინდობის მიუხედავად, 90-მეტრიან ტრამპლინზე მუშაობა არ წყდებოდა. წაქაძეს ვარჯიშისთვის ყველა პირობას უქმნიდნენ. მას პარტნიორობას უწევდნენ ის სპორტსმენები, რომლებიც ზამთრის რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის ემზადებიან.

ინტერვიუ ორ თებერვალს გაგრძელდა.

— მივდივარ იმ იმედით, რომ სტარტამდე ტატრებში რამდენიმე ვარჯიშს ჩავატარებ. გულახდილად უნდა გითხრათ, წლეულს სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებზე (აღარაფერს ვამბობ სხვა ქვეყნების „მფრინავ მოთხილამურეებზე“) იშვიათად მიწევდა შეჯიბრებებში გამოსვლა, მაგრამ ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული და ამის იმედი მაქვს.

— რომელ ტრამპლინზე აპირებთ ასპარეზობას, დიდზე თუ საშუალოზე?

— ამას ნაკრების ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

— ეს თქვენთვის მსოფლიო ჩემპიონატში მეორედ გამოსვლა იქნება. მაშინ სსრ კავშირის „მფრინავ მოთხილამურეთა“ შორის საუკეთესო, VI ადგილი მოიპოვეთ.

— ახლაც თავს არ დავზოგავ.

— კიდევ ვინ შედის ქვეყნის ნაკრებში?

„ინტერვიუ“

— ბელოუსოვი, ნაპალკოვი, ჟეგლანოვი, ივანიკოვი... ყველას ვერ ჩამოვთვლი.

— ასე გვიან რატომ გადაწყდა ნაკრებში თქვენი შეყვანის საკითხი?

— ნაკრების ხელმძღვანელობას აქცენტი ახალგაზრდებზე გადააქვს. ეს სწორიცაა. მე გუნდში წლევანდელი კარგი მაჩვენებლებისთვის ჩამრიცხეს, ამ ნდობას გამართლება უნდა.

ო. ივდოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.



ვ. ვედენინი.

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით მიენიჭათ:

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება: **მძლეოსნობაში** — ვ. სუხოტინს (თბილისის „ლოკომოტივი“), **წყალბურთში** — ვ. ბარნაბიშვილს (თბილისის „სპარტაკი“); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — მ. დარცმელიას (ბათუმის „დინამო“); **საზღვაოსნო სპორტში** — ა. შევარდნაძეს (თბილისის დოსააფი); **სატყვიო სროლაში** — ვ. ჯაბახიძეს (თბილისის მონკავშირი); **ხამბოში** — მ. ელერდაშვილს (საგარეჯოს „კოლმეურნე“); **კალათბურთში** — ტ. ჩერმაკიანს (თბილისის „დინამო“); **ფეხბურთში** — ა. გავლოევს (ცხინვალის „სპარტაკი“).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება: **ძალოსნობაში** — ო. გოჩიაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **კრივში** — გ. კეკელიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ნ. ჩაჩავას (თბილისის „სპარტაკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ა. ცხოვრებოვს (ცხინვალის „კოლმეურნე“); **რადიოსპორტში** — ი. ლაპიცკის (თბილისის დოსააფი); **ლელოში** — გ. გვარჯალაძეს (მახარაძის „კოლმეურნე“); **ფეხბურთში** — ლ. ლონღაძეს, მ. ოგანიანს (ორივე — თბილისის „განთიადი“), დ. აბუთიძეს (ქუთაისის „სპარტაკი“) და ნ. შავიშვილს (ბათუმის „განთიადი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საუბარი ფეხბურთის პრობლემებზე

# 23 წლის... „მოხუცები“

ეს უკვე რამდენიმე წელიწადია, საქართველოში ფეხბურთის უკეთ განვითარების მიზნით გაიზარდა „ბ“ კლასის კოლექტივების რაოდენობა და, ამას გარდა, დაწესდა ასაკობრივი ლიმიტი, რომელსაც საფუძვლად უდევს იდეა: ასაკგადაცილებულ, უპერსპექტივო ფეხბურთელთა ნაცვლად ჩვენს გუნდებში ფართოდ დაეთმოს ადგილი ახალგაზრდობას.

რა თქმა უნდა, ასაკობრივმა შეზღუდვამ გარკვეულ პერიოდში დადებითი როლი ითამაშა ახალგაზრდობის გამოვლენის, დაწინაურებისა და ზრდის საქმეში, მაგრამ იმაზეც უნდა ვილაპარაკოთ, რომ გამოცდილი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი ფეხბურთელების სიმცირემ მთელ რიგ შემთხვევებში უარყოფითად იმოქმედა თამაშის საერთო კლასის ზრდაზე. 5 ახალგაზრდა მოთამაშე მინდორზე, ჩემი აზრით, ბევრია. ვისაც ამდენი ახალგაზრდა და, ამასთან, შესაფერისი კლასის მოთამაშე ჰყავს, მას რა უჭირს, მაგრამ ყველგან ხომ არაა ასე? ამიტომ, ვფიქრობ, გუნდის შემადგენლობაში ყოველ მატჩში 2-3 ახალგაზრდა სავსებით საკმარისი იქნებოდა. მე ვიცი შემთხვევები, როცა ასაკობრივი შეზღუდვების გამო მწვრთნელებს მინდორზე უხდებათ მძლეოსნის ან, ვთქვათ, კალათბურთელის გამოყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი 18 წლისაა. ნამდვილი ფეხბურთელი კი ამ დროს იძულებულია ტრიბუნაზე იჯდეს და იქიდან უყუროს თავისი გუნდის წვალებას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უკვე „მოხუცია“ და 23 წელი შეუსრულდა. ზოგიერთმა ახალგაზრდამ იცის, რომ მწვრთნელი უმისოდ ვერ გამოიყვანს გადაზრდილი ასაკის გუნდს, ამიტომ თავისი ადგილი გარანტირებულად მიაჩნია და ნაკლებად ფიქრობს საკუთარი კლასის ამაღლებაზე.

შეიძლება, ზოგიერთმა შემჩნევა მომცეს, მწვრთნელთა პირველი მოვალეობაა მოძებნონ თავიანთი გუნდებისთვის შესაფერისი ასაკისა და შესაძლებლობის მოთამაშეებიო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ასეთი მაღალკვალიფიციური, უნარიანი მწვრთნელების რიცხვი ჩვენში ნაკლებია და ზოგიერთ გუნდს აშკარად შეუფერებელი ხელმძღვანელი ჰყავს. ხშირია შემთხვევა, როცა გუნდებს მწვრთნელებად უნიშნავენ არა ამ საქმის მცოდნეებს სპეციალური განათლებით, არამედ პირებს, რომლებსაც ოდესღაც, ადრე უთამაშიათ ფეხბურთი და დღეს მოძველებული, „მამა-პაპური“ წესით მუშაობენ. ისინი არ იცნობენ წვრთნის თანამედროვე მეთოდიკას, არ შეუძლიათ ახალგაზრდა მოთამაშეთა დიდ სპორტულ გზაზე გამოყვანა.

სერიოზულ, დამაფიქრებელ საკითხად დგას ზოგიერთი რაიონის სპორტულ ხელმძღვანელთა გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი. სხვანაირად როგორ ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ მთელი რიგი გუნდები შუა სეზონში ეთიშებიან შეჯიბრებას? თუ არა ამით, სხვა რით უნდა გავამართლოთ ბათუმის რაიონის „ნარინჯისა“ და ყვარლის „დურუჯის“ გამოთიშვა ჩემპიონატიდან შარშანდელ სეზონში?

ფეხბურთის პოპულარიზაციას და განვითარებას დიდად შეუწყობდა ხელს, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეთაგან ყოველწლიურად რომ შევადგინოთ 33 საუკეთესო მოთამაშის სია, გამოვყოთ საუკეთესო ბომბარდირი, მეკარე, დისციპლინიანი გუნდი და ა. შ. ეს უთუოდ გაზრდიდა მთლიანად კოლექტივებისა და ცალკეულ ფეხბურთელთა პასუხისმგებლობას საკუთარი ოსტატობის ზრდის მიმართ.

ე. გუგუშვილი,
თბილისის „სინათლის“ ფეხბურთელი.

# იქნებ ამიერკავკასიის ჩემპიონატი?

დიდ ინტერესს იწვევს „ლელოს“ ფურცლებზე გაჩაღებული დისკუსია საფეხბურთო შეჯიბრებათა სისტემის გარდაქმნის შესახებ, კერძოდ, „ბ“ კლასის გუნდების გათამაშებაზე.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ადრე „ბ“ კლასი უფრო სოლიდური სიძლიერისა იყო, ახლა კი ინტერესი მის მიმართ შედარებით შენელდა. მაგრამ შეადარეთ გუნდების მაშინდელი და ახლანდელი რაოდენობა! სულ სხვა მასშტაბებია. ახლა აშკარად გაიზარდა ზონებიც და მასთან ერთად — გუნდების რაოდენობაც.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა თელავის „კახეთზე“, რომელიც 1968 წელს დაუშვეს „ბ“ კლასში. მართალია, გუნდმა მაშინ ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ თვით ქალაქში ფეხბურთისადმი ინტერესი გაიზარდა და უკვე შარშან „კახეთი“ „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონაში VII ადგილზე გავიდა. ასეთი მაგალითის მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გუნდების რიცხვის ზრდა „ბ“ კლასში ხელს კი არ უშლის ფეხბურთის პროგრესს, როგორც ეს ზოგიერთებსა ჰგონიათ, არამედ ხელს უწყობს ადგილებზე შემდგომ მასობრიობასა და ალმავლობას ამ სახეობაში.

ვეთანხმები ზოგიერთ ავტორს, რომ „ბ“ კლასის გუნდებს ახლა სრული დაძაბულობით ბრძოლის სტიმული არა აქვთ. ვინც გავა I ადგილზე, იგი გადადის „ა“ კლასის II ჯგუფში, მაგრამ სხვები? ისინი სატურნირო ცხრილში გაფანტული არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებთან ერთად და არსებითად გაურკვეველი რჩება, ვინ როგორ დაამთავრა სეზონი.

ჩემი აზრით, საქართველოს „ბ“ კლასის 12 გუნდს უნდა დავუმატოთ კიდევ 3-4 საუკეთესო კოლექტივი და ჩავატაროთ „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონის გათამაშების პირველი ეტაპი. ანალოგიური შეჯიბრებები დამოუკიდებლად ჩატარდება აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. რესპუბლიკებში გამარჯვებული 2-2 გუნდი გაითამაშებს ამიერკავკასიის ჩემპიონის წოდებას და საპრიზო ადგილებს, რისთვისაც ისინი მიიღებენ შესაბამისი ხარისხის მედლებს. ეს სიახლე მონაწილეთა მეტ დაინტერესებას გამოიწვევს.

რამდენიმე სიტყვა „ბ“ კლასის კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფებზე. მათი ამოცანები ოსტატთა გუნდების ამოცანებიდანვე უნდა გამომდინარეობდეს. ბავშვებმა უფროსებთან ერთად უნდა მიიღონ გამოცდილება და აიმაღლონ თამაშის კლასი. მაგრამ ჭაბუკი ფეხბურთელები ხშირად თვეობით ვერ ხედავენ უფროსებს, ვინაიდან ისინი სხვადასხვა „ფრონტზე“ იბრძვიან და საერთო მიზანიც ირღვევა. ამიტომ კარგი იქნებოდა, „ბ“ კლასის გუნდების შეხვედრების წინადღეს ითამაშონ მოზარდთა გუნდებმაც, ე. ი. ოსტატთა გუნდების კალენდართან ერთად შედგეს ჭაბუკთა კალენდარიც. ეს მჭიდრო კონტაქტს დაამყარებს უფროსებსა და უმცროსებს შორის.

ხ. ოხანაშვილი,
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

# კრივის ვარსკვლავები ეშერაში

სსრ კავშირის ცენტრალურ სპორტულ ბაზა „ეშერაში“ ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეებთან საპასუხო მატჩისთვის ემზადება.

ჩვენთან საუბარში სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. კისელიოვმა აღნიშნა: „სოხუმის შეკრებაზე ჩვენი ქვეყნის 35 უძლიერესმა მოკრივემ მოიყარა თავი. მათ შორის საუკეთესონი 11 თებერვალს მოსკოვში და 14 თებერვალს მინსკში შეხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ეროვნულ გუნდებს.

რა თქმა უნდა, ამერიკელები მონდომებით ემზადებიან რევანშისთვის. შეიძლება ამითაც არის გამოწვეული, რომ მათი ნაკრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ვფიქრობთ, ჩვენი სტუმრები გაძლიერებული გუნდით ჩამოვლენ. ჩვენი მიზანია ამ შეხვედრაშიც გავიმარჯვოთ“.

ა. კისელიოვის გარდა, ამ მატჩისთვის მოკრივეებს ამზადებენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ვ. მიხაილოვი (მოსკოვი), ნ. ლი (კიევი), ო. გარგანჯია (ნოვოსიბირსკი), სპორტის ოსტატები ი. რადონიაკი და ა. ერმოვი (ორივე — მოსკოვი). საინტერესოა, რომ სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის აღზრდილს ო. გარგანჯიას თავის დროზე წვრთნიდა ამჟამად ეშერის ცენტრალური ბაზის დირექტორი რ. არშბა. მწვრთნელი და მოსწავლე 20 წელია არ შეხვედრიან ერთმანეთს. ახლა მათ სამახსოვროდ სურათი გადაიღეს.

შეკრების პირობებით კმაყოფილი არიან სპორტსმენებიცა და მწვრთნელებიც.

გ. იაშვილი,
ვ. პოლოსიანი.

სოხუმი.

# ფინალის საგზურებისთვის

დამთავრდა თბილისის მოსწავლე მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. ჭაბუკთა შორის პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა, ხოლო გოგონათა შეჯიბრება — ყველა ასაკში ერთად.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა 35-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ვ. ვართანოვმა, უმცროს ასაკში — 61-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ მ. კაჭარავამ — 7 ქულა 7- დან.

გოგონებს შორის I-II ადგილები გაიყვეს მე-15 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ გ. დათაშვილმა და 143-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ნ. ბალაშვილმა — 6,5-6,5 ქულა 7-დან. ჩემპიონის წოდება დათაშვილს მიენიჭა.

საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის — ვართანოვმა, თ. გრძელიშვილმა (მე-16 სკოლა) და გ. იასაშვილმა (112-ე სკოლა), უმცროს ასაკში — კაჭარავამ, გ. ციხისელმა (31-ე სკოლა), ზ. ზამბახიძემ (114-ე სკოლა), გ. მაჭარაშვილმა (მე-16 სკოლა), ზ. თანდაშვილმა (87-ე სკოლა), გ. ზაიჩიკმა (50-ე სკოლა) და ე. გუმიანმა (138-ე სკოლა).

გოგონებში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის ფინალში იბრძოლებენ მ. დათაშვილი, ნ. ბალაშვილი, ნ. ტალახაძე (23-ე სკოლა), ლ. გელიაშვილი (მე-4 სკოლა) და ი. არუთინოვა (90-ე სკოლა).

პ. ხიზანიშვილი,
პირველობის მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



### სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

# ქალები — მეორე ტურის მიჯნაზე

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი) | 5 | 5 | 0 | 291—233 | 5 |
| ტტტ (რიგა) | 5 | 5 | 0 | 320—280 | 5 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 5 | 4 | 1 | 310—290 | 4 |
| „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) | 5 | 4 | 1 | 285—266 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) | 5 | 2 | 3 | 356—342 | 2 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 5 | 2 | 3 | 304—301 | 2 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 5 | 2 | 3 | 311—309 | 2 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 5 | 2 | 3 | 305—314 | 2 |
| სპი (თბილისი) | 5 | 2 | 3 | 318—337 | 2 |
| „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) | 5 | 1 | 4 | 270—299 | 1 |
| „დინამო“ (კიევი) | 5 | 1 | 4 | 289—330 | 1 |
| „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) | 5 | 0 | 5 | 261—314 | 0 |

შენიშვნა: საკდესის მიზეზით, სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრის შედეგი შეცდომით დაიბეჭდა. ეს მატჩი, რომელიც 29 იანვარს გაიმართა, მოიგო „ურალმაშმა“ — 71:58.

# „რეკორდსმენები“



## 36,5 გუფთა —45 წუთში

34 წლის მიუნჰენელ ვ. ლესინგს ეკუთვნის მსოფლიო „რეკორდი“ ბავარიის ეროვნულ სახეობაში — გუფთების ჭამაში. ამ 108-კილოგრამიანმა კაცმა 45 წუთში 36,5 გუფთა გადაყლაპა (ბავარიული გუფთა სიდიდით ჩვენს შინაურ კოტლეტს უდრის).

„რეკორდსმენის“ ექიმს მიაჩნია, რომ ამ მიღწევის გაუმჯობესება სავსებით შესაძლებელია, — ლესინგის კუჭი კიდევ უფრო დიდ დატვირთვასაც აიტანსო. ჟურნალ „შტერნიდან“ ამოღებულ სურათზე თქვენ ხედავთ ახალ „რეკორდსმენს“ გუფთების ჭამაში ვ. ლესინგს.



## 56 თოხლო კვერცხი — 2 წუთში

თოხლო კვერცხების ჭამაში მსოფლიო „რეკორდი“ ეკუთვნის 57 წლის ინგლისელს ს. ბარჰემს. ამას წინათ მან 56 კვერცხი შეჭამა, თუმცა ერთი ეშმაკური ხერხიც იხმარა: ყველა კვერცხი ერთად ჩასცალა ლუდის ხუთ კათხაში და 2 წუთზე ნაკლებ დროში დაამყარა „რეკორდი“. შემდეგ მან ერთი კათხა თავისი საყვარელი ლუდიც დააყოლა.

ჟურნალ „შტერნიდან“ ამოღებულ სურათზე თქვენ ხედავთ ს. ბარჰემს „რეკორდის“ დამყარების წინ.

# ექსპერიმენტული სისტემით

ამას წინათ სოხუმში დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ: ოსტატები — საქართველოს ჩემპიონი ც. კობაიძე, ყაზახეთის ჩემპიონი ა. მუსლიმოვა და პირველთანრიგოსნები ს. ივანოვა (თბილისი), ა. სააკოვა, ე. ალიევა (ორივე — ბაქო), ი. ვეევერე (რიგა), ო. ზემკე (ლიეპაი), თ. სტეპანოვა (მოსკოვი), ა. ზორინა (ლენინგრადი), ხ. ტალასი (ტალინი), ი. ქუდზინსკაია (ალმა-ათა) და ო. იახიოპულო (სოხუმი).

ტურნირი ექსპერიმენტული სისტემით ტარდება: პარტიები იმავე დღეს უნდა დამთავრდეს. პირველი 40 სვლისთვის მეტოქეებს ეძლევათ ორ-ორი, შემდეგ კი თითო საათი სვლების განუსაზღვრელ რაოდენობაზე. ეს ორგანიზატორებს ურჩია დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა. ამ შეჯიბრებამ უნდა დაადგინოს ექსპერიმენტის ავ-კარგი.

გ. გამრეკელი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGÁS

# 16 ფინალისტის საქმენი



## „არავინ გვეთამაშება“, —

ჩივის ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟ. სალდანია. მან მრავალი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობას სთხოვა შეხვედროდნენ მის გუნდს, მაგრამ ყველა უარზეა. სალდანიამ დაიყაბულა მხოლოდ ორი: არგენტინისა და ბულგარეთის გუნდები.

საინტერესოა ალინიშნოს, რომ ბრაზილიაში ევროპის რამდენიმე ნაკრები ჩავა, მაგრამ ისინი საკლუბო გუნდებთან შეხვედრებს ამჯობინებენ და გაურბიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, რაც სალდანიას აშკარა უკმაყოფილებას იწვევს.

ვაქვეყნებთ ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატის 16 ფინალისტის „საანკეტო მონაცემებს“, სადაც აღნიშნულია, ახლანდელი დასკვნითი თამაშების მონაწილეებმა რომელ წელს რა ადგილები დაიკავეს გათამაშებაში.

ტირე გრაფაში ნიშნავს, რომ იმ წელიწადს ესა თუ ის ქვეყანა საერთოდ არ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო ჯვარედინი ნიშანი ამსახველია იმისა, რომ გუნდი წინასწარი თამაშების შემდეგ გამოეთიშა გათამაშებას და ფინალურ ჯგუფში ვერ გავიდა.

ერთადერთი ქვეყანა ახლანდელი ფინალისტებიდან, რომელიც მონაწილეობდა ყველა ადრინდელ ჩემპიონატში, ესაა ბრაზილია, ხოლო ქვეყანა, რომელიც საერთოდ პირველად გამოდის ჟიულ რიმეს თასის გათამაშებაში და, მიუხედავად ამისა, მაინც მოხვდა ფინალში, სალვადორია.

შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს ისრაელის ნაკრების მონაწილეობამ 1934 და 1938 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში, ვინაიდან თვით ისრაელი, როგორც სახელმწიფო, 1948 წელს შეიქმნა. 1934 და 1938 წლებში ჟიულ რიმეს თასისთვის იბრძოდა პალესტინის გუნდი, რომლის შედეგებიც ჩვენ შევიტანეთ ცხრილში.

| | ქვეყნები | 1930 წ. | 1934 წ. | 1938 წ. | 1950 წ. | 1954 წ. | 1958 წ. | 1962 წ. | 1966 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 5-8 | 9-12 | 3 | 2 | 5-8 | 1 | 1 | 9-12 |
| 2 | უნგრეთი | – | 3 | 9-16 | – | 1 | 4 | 5-8 | 2 |
| 3 | იტალია | – | 1 | 1 | 5-8 | 9-12 | X | 9-12 | 9-12 |
| 4 | ურუგვაი | 1 | – | – | 1 | 4 | X | 9-12 | 5-8 |
| 5 | ჩეხოსლოვაკია | – | 2 | 5-8 | – | 9-12 | 9-12 | 2 | X |
| 6 | შვეცია | – | 5-8 | 4 | 3 | X | 2 | X | X |
| 7 | ინგლისი | – | – | – | 5-8 | 5-8 | 9-12 | 5-8 | 1 |
| 8 | მექსიკა | 13-16 | X | – | 13-16 | 13-16 | 13-16 | 9-12 | 9-12 |
| 9 | სსრ კავშირი | – | – | – | – | – | 5-8 | 5-8 | 4 |
| 10 | ბელგია | 9-12 | 9-16 | 9-16 | – | 13-16 | X | X | X |
| 11 | რუმინეთი | 5-8 | 9-16 | 9-16 | – | X | X | – | X |
| 12 | ბულგარეთი | – | X | X | – | X | X | 13-16 | 13-16 |
| 13 | პერუ | 9-12 | – | – | – | – | X | X | X |
| 14 | ისრაელი | – | X | X | – | – | – | X | X |
| 15 | მაროკო | – | – | – | – | – | – | X | – |
| 16 | სალვადორი | – | – | – | – | – | – | – | – |

## ნარევი

● ურუგვაის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ხუან ედუარდო ხოხბერგმა განაცხადა, რომ დისციპლინის დარღვევისთვის ნაკრების შემადგენლობიდან გამოყვანილია 9 ფეხბურთელი: სანტოსი, ბომიფაჩინო, როდრიგესი, სორია, კასერესი, ვილიალბა, სიერა, ფონტორა და ვასკესი. თავის გადაწყვეტილებას მწვრთნელი დასამტკიცებლად გადასცემს ურუგვაის ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას.

● გრეგორიო ბუნდიო, წარმოშობით არგენტინელი, დაამტკიცეს სალვადორის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად.

● იტალიის გუნდი, რომელსაც თამაში პუებლასა და ტოლუკაში მოუწევს, იცხოვრებს მეხიკოს ერთ მყუდრო სასტუმროში „პარკო დი პრინსიპეში“. იგი 66 კილომეტრითაა დაშორებული ტოლუკადან და 130 კილომეტრით — პუებლადან. წვრთნას იტალიელები მეხიკოში ჩაატარებენ.

● ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელი ი. მარკო ამას წინათ გვადალახარას ეწვია და თავისი გუნდის საცხოვრებლად შეარჩია მოტელი „მალიბუ“, რომელსაც, ამავე დროს, აქვს ნორმალური საფეხბურთო მინდორი.

## მხოლოდ II ადგილზე

მეხიკო, 2 თებერვალი. აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა — მექსიკის ნაკრების ფეხბურთელებმა მხოლოდ II ადგილი დაიკავეს. დასკვნით, მეოთხე მატჩში მათ კინაღამ მარცხის სიმწარე იწვნიეს თავიანთი ქვეყნის საკლუბო გუნდთან „გვადალახარასთან“—2:2 (0:2). გაიმარჯვა იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონმა — ბელგრადის „პარტიზანმა“, რომელმაც ბოლო დღეს მოუგო შეხვედრა ბრაზილიის „ბოტაფოგოს“ — 1:0. III-IV ადგილები გაიყვეს „გვადალახარამ“ და „სპარტამ“ (პრაღა).

ლიმა, 2 თებერვალი. ტრნავის „სპარტაკი“ (ჩეხოსლოვაკია) განაგრძობს ტურნეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ჩეხოსლოვაკიელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა პერუს ნაკრებთან — 1:1 (0:0), ერთი დღის შემდეგ კი ბოგოტაში (კოლუმბია) ასეთივე ანგარიშით ითამაშეს ამ ქვეყნის ნაკრებთან.

## „ნაროდენ სპორტის“ აზრით

ბულგარეთის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვაში წერს:

„ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბელგიის, შვეციის, პერუს, მაროკოს, სალვადორისა და ისრაელის გუნდები, რასაკვირველია, ჩვენზე ძლიერები არ არიან.

ჩვენ მექსიკელებსა და ურუგვაელებთანაც შეგვიძლია წარმატებით თამაში“.

„ნაროდენ სპორტის“ ამ ოპტიმისტურ განცხადებას ახლა ბევრი ბულგარელი მიმომხილველი იზიარებს.




## მარკოს ეხმარება „ვერცხლის მწვრთნელი“

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ი. მარკოს განთქმული სპეციალისტი რ. ვიტლაჩილი დაეხმარება. როგორც ცნობილია, ვიტლაჩილის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა ჩილეში, ხოლო ოლიმპიურმა ნაკრებმა — II ადგილი ტოკიოში. 1966 წელს ვიტლაჩილი სათავეში ედგა ბულგარეთის ნაკრებს, რომელიც ფინალურ ჯგუფში გაიყვანა. ბოლო დროს იგი მუშაობდა ვენის „რაპიდთან“.

ახლა „ვერცხლის მწვრთნელი“ დანიშნულია ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელად და კონსულტაციას გაუწევს მარკოს. ვიტლაჩილის ხელმძღვანელობით ჩეხიის (ფაქტიურად, ჩეხოსლოვაკიის) ნაკრებმა იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში, სადაც რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა იქაურ საკლუბო გუნდებთან. 10 თებერვლიდან ნაკრების კანდიდატებთან მუშაობას გააგრძელებს მარკო ჯერ ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ კი საფრანგეთში.

## მსაჯთა სემინარი

მეხიკო. 24-30 მაისს ფიფა აწყობს სემინარს იმ მსაჯებისთვის, რომლებსაც დაევალებათ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ჩატარება.

ფეხბურთი

## 3 წლით ადრე

ამას წინათ უეფა-მ დაამტკიცა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა თარიღები (ფინალამდე) უახლოესი 3 წლის მანძილზე.

მერვედფინალები: 1970 წ. — 16 და 30 სექტემბერი; 1971 წ. — 15 და 29 სექტემბერი; 1972 წ. — 13 და 27 სექტემბერი.

მერვედფინალები: 1970 წ.—21 ოქტომბერი და 4 ნოემბერი; 1971 წ. — 20 ოქტომბერი და 3 ნოემბერი; 1972 წ. — 25 ოქტომბერი და 8 ნოემბერი.

მეოთხედფინალები: 1971 წ. — 10 და 24 მარტი; 1972 წ. — 8 და 22 მარტი; 1973 წ. — 7 და 21 მარტი.

ნახევარფინალები: 1972 წ. — 14 და 28 აპრილი; 1972 წ. — 5 და 19 აპრილი; 1973 წ. — 11 და 25 აპრილი.

## „სელტიკი“ — „ფიორენტინა“

გლაზგო. როგორც აქ გამოცხადდა, მეოთხედფინალური მატჩები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე „სელტიკსა“ (შოტლანდია) და „ფიორენტინას“ (იტალია) შორის გაიმართება 4 მარტს გლაზგოში და 18 მარტს ფლორენციაში.

## მინდორზე — ჭაბუკები

სპლიტი, 2 თებერვალი. უეფა-ს ახალგაზრდული ტურნირის — ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა არაოფიციალური ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი თანატოლები.

გაგახსენებთ, რომ საბჭოთა გუნდმა შარშანდელი წლის მიწურულს უკვე ჩაატარა 2 შესარჩევი შეხვედრა — დაამარცხა პოლონელები (3:0 )და ფრედ ითამაშა რუმინელებთან (0:0).

წინ საპასუხისმგებლო მატჩებია.

## „როიალისა და ჭადრაკის ვირტუოზი“

ასე იხსენიებს იუგოსლავიის გაზეთი „ბორბა“ ცნობილ საბჭოთა პიანისტსა და დიდოსტატს მარკ ტაიმანოვს. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ვეიკ-ან-ზეეს ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში ლენინგრადელმა მოჭადრაკემ დაუმარცხებლად დაიკავა I ადგილი — 15-დან 12 ქულა მოაგროვა. ამ წარმატებას შეჯიბრებაში, რომელშიც უმაღლესი საჭადრაკო ტიტულის მფლობელი ბევრი ძლიერი მოთამაშე მონაწილეობდა, გაზეთმა დიდი წერილი მიუძღვნა.

ვეიკ-ან-ზეეს ტურნირებს დიდი ხნის ისტორია აქვს. თავდაპირველად ეს შეჯიბრება ბევერვეიკში ტარდებოდა, 1967 წლიდან კი აქ გადმოინაცვლა. პირველ ტურნირებში 4-4 კაცი თამაშობდა. შემდეგ ტურნირი საერთაშორისოდ იქცა. ამ შეჯიბრებას „ჰოგოვენტურნირებსაც“ ეძახიან („ჰოგოვენ“— ჰოლანდიურად ბრძმედს ნიშნავს, რადგან მას ჰოლანდიის ფოლადის წარმოების მეფეები უწევენ შეფობას). წლევანდელი შეჯიბრება რიგით 32-ე იყო. წინა წლებში ტურნირს საბჭოთა მოჭადრაკეები იგებდნენ. 1968 წელს საუკეთესო იყო ვ. კორჩნოი, 1969 წელს — მ. ბოტვინიკი და ე. გელერი. შეიძლება ითქვას, რომ ტაიმანოვმა ტრადიცია გააგრძელა.

● ●

## საუკეთესონი — ნახევარფინალში

როგორც წინა ნომერში ვწერდით, ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელთა წყვილი — რ. პოღოსოვა (ბაქო) და ს. სარხოიანი (ბათუმი). მათ „გზად“ ანგარიშით 3:0 მოუგეს იუგოსლავიელებს ე. ვეცკოს და ე. კორპას, აგრეთვე, შვეციელებს ს. ბენგტსონს და ლ. ანდერსონს, შემდეგ დაამარცხეს ტურნირის მასპინძლები ი. ტურაი და ა. გროფოვა — 3:2. მაგრამ ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს ცოლ-ქმარ დ. და ე. შელერებთან (გფრ) — 2:3. III ტურში დამარცხდნენ რიგელი უ. ეგლიტისი და მოსკოველი ს. გრინბერგი. მათ მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებმა დვორჟაკმა და ი. პაუკნეროვამ — 3:1.

პოღოსოვა ქალთა შეჯიბრების ნახევარფინალში გავიდა. მანამდე მან მოუგო ოთხ სპორტსმენს, მათ შორის, ევროპის ჩემპიონს წყვილთა ასპარეზობაში ი. კარლიკოვას (ჩეხოსლოვაკია) — 3:1. მაგრამ კარლიკოვას თანამემამულემ, ევროპის პირველმა ჩოგანმა ი. ვოშტოვამ ბაქოელთან შეხვედრაში თავისებური რევანში აიღო იმავე ანგარიშით. გრინბერგმა სამი გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალში დაუთმო დ. ჰოვეშტადტს (გდრ) — 2:3.

ვაჟთა ერთეულების ტურნირს დასაწყისშივე გამოეთიშნენ ეგლიტისი, რომელმაც წააგო ჩეხოსლოვაკიელ ფლეიშინგერთან (0:3) და ტალინელი ი. ჰიარმსი, რომელიც დაამარცხა პოლონელმა ზ. კუსინსკიმ — 3:0. სარხოიანი გავიდა მესამე წრეში, სადაც დამარცხდა ს. კოლაროვიჩთან (ჩეხოსლოვაკია) — 0:3.

წყვილები — გრინბერგი — პოღოსოვა და სარხოიანი — ეგლიტისი ბრძოლას აგრძელებენ.

● ●

## გასწორება

წინა ნომერში მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული ქვედა ფოტოსურათების წარწერების მეორე და მესამე აბზაცები უნდა იკითხებოდეს ასე:

„მარჯვენა სურათზე სწორედ ამ ორი სპორტსმენის შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

• • •

მარცხენა სურათზე: ირანელი გორბანისა და ა.“ — და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03138